საქართველოს

თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №27

2024 წლის 7 თებერვალი

ქ. თბილისი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის უფლებამოსილი პირების მიერ შესადგენი დოკუმენტების ფორმების დამტკიცებისა და შევსება-წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 220-ე მუხლის, 239-ე მუხლის 53-ე ნაწილის, თავდაცვის კოდექსის 24-ე მუხლის „ე“ პუნქტის, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის №580 დადგენილებით დამტკიცებული თავდაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს:

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (ელექტრონული) და დადგენილების ფორმები:

ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (ელექტრონული) (დანართი №1);

ბ) დადგენილება ჯარიმის დადების შესახებ (დანართი №2);

გ) დადგენილება გაფრთხილების დადების შესახებ (დანართი №3);

დ) დადგენილება საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ (დანართი №4).

2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (ელექტრონული) და დადგენილების ფორმების შევსების წესი (დანართი №5).

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **ჯუანშერ ბურჭულაძე**

დანართი №1

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (ელექტრონული)

ნაწილი I

1. ოქმის შედგენის:

1.1 რიცხვი, თვე, წელი ----------

1.2 ადგილი----------

2. ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირის:

2.1 სახელი, გვარი ----------

2.2 თანამდებობა ----------

2.3 უფლებამოსილების მინიჭების საფუძველი ----------

3. დამრღვევის:

3.1 სახელი, გვარი ან სახელწოდება

3.2 დაბადების რიცხვი, თვე, წელი ----------

3.3 მისამართი ან ადგილსამყოფელი ----------

3.4 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია/№ ან პირადი № ან საიდენტიფიკაციო № -

4. დარღვევის:

4.1 ჩადენის რიცხვი, თვე, წელი ----------

4.2 ჩადენის ადგილი ----------

4.3 არსი ----------

5. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმა, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას და სახდელი (სახე, ოდენობა):

5.1 მუხლი ----------

5.2 ნაწილი ---------- ----------

5.3 ქვეპუნქტი ----------

5.4 ადმინისტრაციული სახდელი (ციფრებით და სიტყვიერად) ----------

6. მოწმის (თუ არის):

6.1 სახელი, გვარი ----------

6.2 მისამართი ----------

6.3 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია/№ ან პირადი № ----------

7. დაზარებულის (თუ არის):

7.1 სახელი, გვარი ან სახელწოდება ----------

7.2 მისამართი ან ადგილსამყოფელი----------

7.3 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია/№ ან პირადი № ან საიდენტიფიკაციო N --

8. საქმის გარემოებების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც ოქმს თან ერთვის:

---

9. დამრღვევისთვის განმარტებული უფლებები

ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე; თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება) მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს თავდაცვის მინისტრთან (თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის 20), აღნიშნული ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში ეს ვადა სამართალდამრღვევის განცხადებით, შეიძლება აღადგინოს საჩივრის განხილვის უფლებამოსილების მქონე ორგანომ (თანამდებობის პირმა).

10. ოქმის შემდგენლის ხელმოწერა ----------

ოქმის დამრღვევისთვის ჩაბარება

ნაწილი II

დამრღვევის ხელმოწერა ----------

რიცხვი, თვე, წელი ----------

ოქმის შემდგენლის ხელმოწერა, როდესაც სამართალდამრღვევი უარს აცხადებს ოქმზე ხელისმოწერაზე ან ოქმის ჩაბარებაზე ----------

რიცხვი, თვე და წელი) ----------

დანართი №2

დადგენილება

ჯარიმის დადების შესახებ

ნაწილი 1

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, რომელშიც აღწერილია გადაცდომა:

ოქმის № ----------

ოქმის შედგენის რიცხვი, თვე, წელი ----------

სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი ----------

საქმის განხილვისას დადგენილი გარემოებები ----------
---------- ----------

- ----------
---------- ----------
---------- ----------
---------- ----------
---------- ----------

სარეზოლუციო ნაწილი:

1. სამართალდამრღვევს: ---------- (სახელი, გვარი ან სახელწოდება); ---------- (დაბადების რიცხვი, თვე, წელი); ---------- (მისამართი ან ადგილსამყოფელი); ---------- (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია/ნომერი ან პირადი ნომერი ან საიდენტიფიკაციო ნომერი).

2. სამართალდამრღვევს დაედოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის -----მუხლის ------ ნაწილით ---- ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა ---------- ლარის ოდენობით.

3. ჯარიმა გადახდილი უნდა იქნეს ამ დადგენილების სამართალდარღვევისთვის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს თავდაცვის მინისტრთან (თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის 20) მისი სამართალდამრღვევისთვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

საქმის განხილვაზე და სახდელის დადებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირის:

სახელი, გვარი ----------

თანამდებობა ----------

ხელმოწერა ----------

დადგენილების ეგზემპლარის სამართალდამრღვევისთვის ჩაბარება

ნაწილი II

სამართალდამრღვევის ხელმოწერა ----------

რიცხვი, თვე, წელი----------

<u>დანართი N3</u>

დადგენილება

გაფრთხილების დადების შესახებ

ნაწილი I

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, რომელშიც აღწერილია გადაცდომა:

ოქმის № ----------

ოქმის შედგენის რიცხვი, თვე, წელი ----------

სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი ----------

საქმის განხილვისას დადგენილი გარემოებები ----------
---------- ----------

- ----------
---------- ----------
---------- ----------
---------- ----------
---------- ----------

სარეზოლუციო ნაწილი:

1. სამართალდამრღვევს: ----------
---------- (სახელი, გვარი ან სახელწოდება); ---------- (დაბადების რიცხვი, თვე, წელი); ---------- (მისამართი ან ადგილსამყოფელი); ---------- (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია/ნომერი ან პირადი ნომერი ან საიდენტიფიკაციო ნომერი).

2. სამართალდამრღვევს დაედოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის -----მუხლის ------ ნაწილით ---- ქვეპუნქტით გათვალისწინებული გაფრთხილება.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს თავდაცვის მინისტრთან (თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის 20) მისი სამართალდამრღვევისთვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

საქმის განხილვაზე და სახდელის დადებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირის:

სახელი, გვარი ----------

თანამდებობა ----------

ხელმოწერა ----------

დადგენილების ეგზემპლარის სამართალდამრღვევისთვის ჩაბარება

ნაწილი II

სამართალდამრღვევის ხელმოწერა ----------

რიცხვი, თვე, წელი----------

<u>დანართი N4</u>

დადგენილება

საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ

ნაწილი I

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, რომელშიც აღწერილია გადაცდომა:

ოქმის № ----------

ოქმის შედგენის რიცხვი, თვე, წელი ----------

საქმის განხილვისას დადგენილი გარემოებები: ----------
---------- ----------

სარეზოლუციო ნაწილი:

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის -------- ქვეპუნქტით შეწყდეს საქმისწარმოება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში მითითებული პირის (---------- (სახელი, გვარი ან სახელწოდება); ---------- (დაბადების რიცხვი, თვე, წელი); ---------- (მისამართი ან ადგილსამყოფელი); ---------- (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია/ნომერი ან პირადი ნომერი ან საიდენტიფიკაციო ნომერი) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ---------- მუხლის -------- ნაწილით -------- ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახდელის დადების ნაწილში.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს თავდაცვის მინისტრთან (თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის 20) მისი სამართალდამრღვევისთვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

საქმის განხილვაზე და სახდელის დადებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირის:

სახელი, გვარი ----------

თანამდებობა ----------

ხელმოწერა ----------

<u>დანართი №5</u>

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (ელექტრონული) და დადგენილების ფორმების შევსების წესი

მუხლი 1

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის (ელექტრონული) (შემდგომში – ოქმი) შევსებაზე, აგრეთვე საქმის განხილვაზე და სახდელის დადებაზე უფლებამოსილ პირთა წრეს, აგრეთვე ოქმის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული დადგენილების (შემდგომში – დადგენილება) შევსების წესს.

მუხლი 2

1. ოქმის ფორმის (დანართი №1) ნაწილი I-ში აღინიშნება:

ა) ოქმის შედგენის რიცხვი, თვე, წელი და ადგილი;

ბ) ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირის: სახელი და გვარი, თანამდებობა;

გ) დამრღვევის: სახელი, გვარი ან სახელწოდება; დაბადების თარიღი; მისამართი ან ადგილსამყოფელი; პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია/ნომერი ან პირადი ნომერი ან საიდენტიფიკაციო ნომერი;

დ) დარღვევის ჩადენის დრო, ადგილი და მისი არსი (მათ შორის, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მოხმარებაზე შემოწმების შედეგი / მცენარე კანაფის ან მარიხუანის მოხმარებაზე შემოწმების შედეგი (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე ან/და 45^1 მუხლ(ებ)ით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევ(ებ)ის შემთხვევაში);

ე) საკანონმდებლო აქტი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმა (მუხლი, ნაწილი, ქვეპუნქტი), რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამართალდარღვევისათვის, აგრეთვე სახდელის (სახე, ოდენობა);

ვ) მოწმის (არსებობის შემთხვევაში): სახელი, გვარი; მისამართი; პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია/ნომერი ან პირადი ნომერი;

ზ) დაზარალებულის, მოწმის (არსებობის შემთხვევაში): სახელი, გვარი ან სახელწოდება; მისამართი ან ადგილსამყოფელი; პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია/ნომერი ან პირადი ნომერი ან საიდენტიფიკაციო ნომერი;

თ) საქმის გარემოებების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც ოქმს თან ერთვის;

ი) დამრღვევისთვის განმარტებული უფლებები;

კ) ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა.

2. ოქმის ფორმის (დანართი N1) ნაწილი I I -ში აღინიშნება:

ა) სამართალდამრღვევის მიერ ოქმის ჩაბარებისა და ოქმის გაცნობის დამადასტურებელი ხელმოწერა;

ბ) ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, როდესაც სამართალდამრღვევი უარს აცხადებს ოქმზე ხელისმოწერაზე ან ოქმის ჩაბარებაზე.

მუხლი 3

1. ოქმის ფორმის ნაწილი I ივსება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის უფლებამოსილი პირის მიერ.

2. ოქმის ფორმის ნაწილი I შევსებაზე სამინისტროს სისტემის უფლებამოსილ პირებს განეკუთვნებიან:

ა) სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ის მოსამსახურეები, რომელთა კომპეტენციაშიც შედის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45, 45^1, 166, 171^1, 194^1 (გარდა სამშენებლო საქმიანობისა), 198^1 მუხლებით, აგრეთვე 197^3 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ბ) სამინისტროს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის ის მოსამსახურეები, რომელთა კომპეტენციაშიც შედის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 194^1 (სამშენებლო საქმიანობის შემთხვევაში) მუხლით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე;

გ) სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 198^2 მუხლით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევაზე;

დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს ის მოსამსახურეები, რომელთა კომპეტენციაშიც შედის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 196^1, 196^3, 196^6, 196^7, 197^1, 198 მუხლებით, აგრეთვე 197^3 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.

3. საქართველოს თავდაცვის მინისტრი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირების ნუსხა.

4. ოქმის ფორმის ნაწილი I ივსება სამინისტროს სისტემაში მოქმედ ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში (emod).

5. ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირის მიერ დამრღვევისთვის გადაცემის შემდეგ ოქმის ფორმის ნაწილი II ივსება:

ა) დამრღვევის მიერ, რაც წარმოადგენს მის უფლებამოსილებას;

ბ) ოქმის შემდგენლის მიერ, თუ დამრღვევმა უარი განაცხადა ოქმის ხელისმოწერაზე ან ოქმის ჩაბარებაზე.

6. ოქმში ჩანაწერები სრულდება გარკვევით.

7. ოქმი ინახება სამინისტროს სისტემის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში (emod).

8. ოქმის ასლი (ფოსტით ან სხვა ფორმით) გადაეცემა:

ა) დამრღვევს;

ბ) საქმის განმხილველ და სახდელის დადებაზე უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) საქმის დოკუმენტაციასთან ერთად;

გ) სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს, თუ ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197^3 პირველი ნაწილის საფუძველზე.

მუხლი 4

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45, 45^1, 166, 196^3, 196^6, 197^1, მუხლებით, აგრეთვე 197^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განმხილველ და ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებაზე უფლებამოსილ ორგანოს განეკუთვნება რაიონული/ საქალაქო სასამართლო.

2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171^1, 194^1 (გარდა სამშენებლო საქმიანობისა) და 198^1 მუხლებით, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171^1, 194^1 (გარდა სამშენებლო საქმიანობისა) და 198^1 მუხლებით გათვალისწინებული გადაცდომის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განმხილველ და ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებაზე უფლებამოსილ ორგანოს განეკუთვნება შესაბამისი ოქმის შევსებაზე უფლებამოსილი პირი.

3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 194^1 (სამშენებლო საქმიანობის

შემთხვევაში) მუხლით გათვალისწინებული გადაცდომის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განმხილველ და ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებაზე უფლებამოსილ ორგანოს განეკუთვნება შესაბამისი ოქმის შევსებაზე უფლებამოსილი პირი.

4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 198^2 მუხლით გათვალისწინებული გადაცდომის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განმხილველ და ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებაზე უფლებამოსილ ორგანოს განეკუთვნება შესაბამისი ოქმის შევსებაზე უფლებამოსილი პირი.

5. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 196^1, 196^3, 196^6, 196^7, 197^1, 198-ე მუხლებით გათვალისწინებული გადაცდომის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განმხილველ და ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებაზე უფლებამოსილ ორგანოს განეკუთვნება შესაბამისი ოქმის შევსებაზე უფლებამოსილი პირი.

მუხლი 5

1. საქმის განმხილველ და ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებაზე უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) გამოაქვს დადგენილება:

ა) სახდელის დადების შესახებ;

ბ) საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ.

2. დადგენილების ნაწილი I ივსება სამინისტროს სისტემაში მოქმედი ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში (emod) ან შემთხვევის ადგილზე.

3. დადგენილების ნაწილი II ივსება დამრღვევისთვის დადგენილების გადაცემის შემდეგ, რაც წარმოადგენს მის უფლებამოსილებას;

4. დადგენილებაში ჩანაწერები სრულდება გარკვევით.

5. დადგენილება ინახება სამინისტროს სისტემის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში (emod).